სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №143

ქ. რუსთავი

ერთი მხრივ, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის გეგი ლიპარტელიანის სახით და მეორე მხრივ, შპს „თუმანიშვილი და კომპანია“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის თეიმურაზ თუმანიშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის (გამარტივებული შესყიდვა) თანახმად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

1.6 „მხარე“ - „შემსყიდველი“ ან/და „მიმწოდებელი“.

1.7 „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 სამშენებლო მასალები და დამხმარე სამშენებლო მასალები **CPV44100000- 623.00** (ექვსასოცდასამი ლარი ლარი და 00 თეთრი) ლარი; ხელნაკეთობები და ხელოვნების ნივთების შესაქმნელად საჭირო მასალები- **CPV37800000-795.20** (შვიდას ოთხმოცდათხუთმეტი ლარი და 20 თეთრი) ლარი.

2.2 მხატვართა გაერთიანება ,,გამა“-ს მიერ დაგეგმილი პროექტი ,,168“ სათვის საჭირო მასალები.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **1418.20** (ათას ოთხას თვრამეტი ლარი და 20 თეთრი) ლარს .

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1 „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

4.2 ანგარიშსწორება იწარმოებს „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენის საფუძველზე. (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

4.3 ანგარიშსწორების ვადა: 4.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღე.

4.4 დაფინანსების წყარო: 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 „მიმწოდებლის“ მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის დღიდან.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს **ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“**-ს დირექტორი , ხოლო მიმწოდებლის მხრიდან **შპს „თუმანიშვილი და კომპანია“**-ს დირექტორი.

5.3 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:

„მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული ვალდებულების დასახელება.

„მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულება.

„მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული ვალდებულების აღწერა.

6. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

6.1 საქონლის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღე.

6.2 საქონლის მიწოდების ადგილი: ქ. რუსთავი, კოსტავას გამზ N20.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

ბ) არ ჩაიბაროს რაოდენობრივად, ხარისხობრივად ან უფლებრივად ნაკლული საქონელი.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ მხრიდან ხელშეკრულების საგნით ნაკისრი, შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულების საგნით ნაკისრი, შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 მიმწოდებლის ვალდებულებები:

ა) სრულად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

ბ) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.1 პუნქტში.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“ (წარმოდგენილი მისი სახელოვნებო დეპარტამენტის უფროსის სახით).

8.2 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:

ა) „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.

ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

გ) „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება „მიმწოდებლის“ მიერ საკუთარი ხარჯებით.

8.3 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის

9.1 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების **0.02%**-ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების **2%**-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისიწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გაწეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ,,შემსყიდველი“-ს და ,,მიმწოდებელი“-ს მხრიდან კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპით დამოწმების თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“ მის: ქ. რუსთავი, მ. კოსტავას გამზირი №20 საიდენტიფიკაციო კოდი №416314090 მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი: TRESGE22 მიმღების ანგარიში: #GE24NB0330100200165022	**შპს „თუმანიშვილი და კომპანია“** მის: ქ. რუსთავი, მ. კოსტავას გამზირი №12 საიდენტიფიკაციო კოდი #216289139 სს „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22 ა/ა #GE29BG0000000273103400
ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“-ს დირექტორი	**შპს „თუმანიშვილი და კომპანია“-ს დირექტორი**
გეგი ლიპარტელიანი	*თეიმურაზ თუმანიშვილი*
culture youth and sport development center of rustavi municipality Digitally signed by culture youth and sport development center of rustavi municipality Date: 2019.05.29 16:45:40 +04'00'	LTD Tumanishvili and Company Digitally signed by LTD Tumanishvili and Company Date: 2019.05.30 12:37:14 +04'00'

N	CPV კოდები	საქონლის დასახელება	განზომილ ება	რა-ბა	ერთ-ფასი	სულ ჯამი
1	CPV44111400	ალპინა ფასადის ნაცადი 15ლ.	ცალი	1.00	98.00	98.00
2	CPV37821000	TOL 120-40036 სამღებრო ფუნჯი 4	ცალი	2.00	4.80	9.60
3	CPV37821000	TOL119-40035 სამღებრო ფუნჯი 3	ცალი	2.00	3.50	7.00
4	CPV37821000	TOL-118-40034 სამღებრო ფუნჯი 2.5	ცალი	2.00	3.00	6.00
5	CPV37821000	TOL117-40033 სამღებრო ფუნჯი 2	ცალი	2.00	2.50	5.00
6	CPV37821000	TOL116-40032 სამღებრო ფუნჯი 1.5	ცალი	2.00	1.80	3.60
7	CPV37821000	8 ლილვაკი	ცალი	2.00	3.50	7.00
8	CPV37821000	TOL329-40057 სამღებრო ლილვაკი 9	ცალი	2.00	6.90	13.80
9	CPV37821000	TOL123-40090 სამღებრო ლილვაკი 4	ცალი	1.00	3.20	3.20
10	CPV44111400	საღებავი ალპინა 500მლ	ცალი	25.00	14.50	362.50
11	CPV44111400	აკრილი სამხატვრო საღებავი 250 მლ	ცალი	25.00	6.50	162.50
12	CPV37820000	დაგრუნტული სამხატვრო ტილო (2,20 სიგანით)	ცალი	20.00	37.00	740.00
		სულ ჯამი:				**1418.20 ლარი**

LTD Tumanishvili and Company

Digitally signed by LTD Tumanishvili and Company
Date: 2019.05.30 12:37:29 +04'00'

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. რუსთავი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ **ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“**-ს მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით **შპს „თუმანიშვილი და კომპანია“**-სგან სამშენებლო მასალებისა და დამხმარე სამშენებლო მასალების და ხელნაკეთობები და ხელოვნების ნივთების შესაქმნელად საჭირო მასალების შეძენა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“-ს დირექტორი

culture youth and sport development center of rustavi municipality

Digitally signed by culture youth and sport development center of rustavi municipality
Date: 2019.05.29 16:46:14 +04'00'

გეგი ლიპარტელიანი

ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“-ს სახელოვნებო დეპარტამენტის უფროსი

მარინა ფიროსმანაშვილი

LTD Tumanishvili and Company

Digitally signed by LTD Tumanishvili and Company
Date: 2019.05.30 12:37:52 +04'00'